

შპს სილქ უოთერ გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება3

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....5

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....6

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა7

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები7

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები14

4. წინა პერიოდების გადაანგარიშება15

5. ძირითადი საშუალებები16

6. გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები.....16

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები16

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები16

9. გადასახადები17

10. ფული და ფულის ექვივალენტები17

11. შემოსავალი17

12. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯი17

13. სხვა საოპერაციო ხარჯები.....17

14. გაცემული სესხი18

15. ფინანსური რისკის მართვა18

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები21

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....21

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 *	1 იანვარი 2019 *
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	2,119,013	2,194,239	1,943,501
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	6	22,483,689	13,207,560	12,261,140
გაცემული სესხი	14	1,237,624	994,109	600,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,840,326	16,395,908	14,804,641
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი ავანსები	7	279,467	46,029	184,517
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	609,436	577,413	330,328
საგადასახადო აქტივები	9	-	45,520	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	14,630,813	11,635,033	11,935,996
ფული და ფულის ექვივალენტები	10	3,279,391	2,741,358	2,503,814
სულ მიმდინარე აქტივები		18,799,107	15,045,353	14,954,655
სულ აქტივები		44,639,433	31,441,261	29,759,296
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		26,823,004	27,273,004	27,806,155
გაუნაწილებელი მოგება		17,695,454	4,038,438	1,570,578
სულ კაპიტალი		44,518,458	31,311,442	29,376,733
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		1,198	-	18,459
საგადასახადო ვალდებულება		8,911	-	37,773
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		110,866	129,819	326,331
სულ ვალდებულებები		120,975	129,819	382,563
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		44,639,433	31,441,261	29,759,296

* გადაანგარიშებული

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 აპრილს:

გიგა ბილისიშვილი
დირექტორის მინდობილი პირი

დავით მაისურაძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 7-21 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	11,721,078	6,898,042
სხვა საოპერაციო შემოსავალი		18,141	-
სულ შემოსავალი		11,739,219	6,898,042
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ცვლილება		32,023	247,085
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯი	12	(5,478,600)	(4,753,639)
დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება		(418,864)	(482,396)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(218,989)	(251,633)
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(382,502)	(699,418)
საოპერაციო ზარალი		5,272,287	958,041
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული მოგება/(ზარალი)		(2,128)	(43,369)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		548,574	437,660
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		7,838,283	1,115,528
მოგება დაბეგვრამდე		13,657,016	2,467,860
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		13,657,016	2,467,860
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		13,657,016	2,467,860

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 აპრილს:

გიგა ბილისეიშვილი
დირექტორის მინდობილი პირი

დავით მაისურაძე
მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2019 გადამანგარიშებული	27,806,155	1,570,578	29,376,733
საწესდებო კაპიტალი ზრდა (შემცირება)	(533,151)	-	(533,151)
წლის სრული შემოსავალი	-	2,467,860	2,467,860
31 დეკემბერი 2019 გადამანგარიშებული	27,273,004	4,038,438	31,311,442
საწესდებო კაპიტალი ზრდა (შემცირება)	(450,000)	-	(450,000)
წლის სრული შემოსავალი	-	13,657,016	13,657,016
31 დეკემბერი 2020	26,823,004	17,695,454	44,518,458

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 აპრილს:


 გიგა ბილისეიშვილი
 დირექტორის მინდობილი პირი


 დავით მაისურაძე
 მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაგებვამდე		13,657,016	2,467,860
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	218,989	251,633
ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული ზარალი		2,128	43,369
საპროცენტო შემოსავალი		(548,574)	(437,660)
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		(7,838,283)	(1,115,528)
ფულადი ნაკადები საშუაო კაპიტალის ცვლილებამდე		5,491,276	1,209,674
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		52,280	720,301
გძელ ვადიანი სავაჭრო მოთხოვნების ცვლილება		(4,653,201)	-
გაცემული ავანსების ცვლილება		(230,425)	113,375
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		(32,023)	(247,085)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		(18,953)	(196,512)
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		54,433	(83,293)
მიღებული ავანსების ცვლილება		1,198	(18,459)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		664,585	1,498,001
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაში გადახდილი თანხები		(145,891)	(661,417)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული თანხები		-	115,677
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(145,891)	(545,740)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის გაცემა	14	(18,422)	(278,706)
საწესდებო კაპიტალის ზრდა / (შემცირება)		(450,000)	(533,151)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(468,422)	(811,857)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე		487,761	97,140
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		538,033	237,544
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		2,741,358	2,503,814
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		3,279,391	2,741,358

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 აპრილს:

გიგა ბილისიშვილი
დირექტორის მინდობილი პირი

დავით მაისურაძე
მთავარი ბუღალტერი

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს სილქ უოთერ გრუპი (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2015 წლის 28 იანვარს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის აქციების 100% -იანი წილის მესაკუთრეს, ასევე წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით წარმოადგენს დვეინს სკოტს მორისი. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები შეიქმნა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია არის საქართველოში გაერთიანებული კომპანიების ჯგუფის მშობელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა მოიცავს: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, სასათბურე ტექნიკის საცალო ვაჭრობას. კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქ., N12, ბლოკი "ბ", საოფისე ფართი.

2020, 2019 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

	საქმიანობის ქვეყანა	წილის ფლობა	შემენის წელი	საოპერაციო საქმიანობა
შპს ევრო ფარმი	საქართველო	100%	2015	დისტრიბუცია
შპს დეარი გრუპ	საქართველო	50%	2016	სოფლის მეურნეობის საქმიანობა

სილქ უოთერ გრუპს მოჰყავს სოფლის მეურნეობის პროდუქცია რეალიზაციას ეწევა ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე. ასევე ვაჭრობს სასოფლო სამეურნეო ტექნიკით და მიწოდებას ახორციელებს ირანისა და დუბაის ტერიტორიაზე.

შპს ევრო ფარმი ადგილობრივ ბაზარზე მოიძიებს და დისტრიბუციას უწევს კვების პროდუქტებს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, გარდა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარ მოვლენებში აღწერილი გარემოებებისა (შენიშვნა 16), რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის. გასული პერიოდების საქმიანობის შედეგად ჯგუფის აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური მოთხოვნები, გაუნაწილებელი მოგება, მოცულობითი საწესდებო კაპიტალი და ძირითადი საშუალებები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საქმე არ ემუქრება და, შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2020 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095	3.0701

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) შესაძლებელ შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. სამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. სხვა დანარჩენი ხარჯები აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ თანხებსა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებად ან ზარალად, როგორც „სხვა შემოსავალი“ ან „სხვა ხარჯი“.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
მიწა	-
შენობა ნაგებობა	20-50
მანქანა დანადგარები	5-15
ოფისის აღჭურვილობა	5-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-15

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას საწარმო აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

თითოეული საიჯარო შეთანხმება მეიჯარისათვის კლასიფიცირდება საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეს აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება როდესაც იგი დაიფარება ან უქმდება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გასაყიდ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების ზრდით და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე, თუ მისგან აღარ არის მოსალოდნელი მომავალი შემოსავლის მიღება, ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან სცდება შემოსავლის აღიარების კრიტერიუმს.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღე-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხები მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე განიხილება ყველა დებიტორული მუხლის მიმართ რომლის შეფასებაც არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, დისკონტირებულს საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახლოსაა რეალურთან. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს გირაოს ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფას, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის, ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაანგარიშებისას. ამრიგად, ჯგუფი არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ, აღიარებს გაუფასურების ზარალის ანარიცხს.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია ჯგუფი მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაბამისი და მოსალოდნელია, რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

4. წინა პერიოდების გადაანგარიშება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	გადაანგარიშებამდე 31 დეკემბერი 2019	გადაანგარიშების ეფექტი	გადაანგარიშებული 31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,083,531	110,708	2,194,239
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	13,749,340	(541,780)	13,207,560
გაცემული სესხი	454,213	539,896	994,109
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები	112,132	(66,103)	46,029
სასაქონლო მატერიალური			
ფასეულობები	4,507,887	(3,930,474)	577,413
საგადასახადო აქტივები	217,972	(172,452)	45,520
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,671,004	(35,971)	11,635,033
ფული და ფულის ექვივალენტები	2,726,070	15,288	2,741,358
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	8,339,938	(4,301,500)	4,038,438
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	11	(11)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(90,804)	220,623	129,819
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	გადაანგარიშებამდე 1 იანვარი 2019	გადაანგარიშების ეფექტი	გადაანგარიშებული 1 იანვარი 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,832,793	110,708	1,943,501
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	12,863,024	(601,884)	12,261,140
გაცემული სესხი	-	600,000	600,000
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები	250,620	(66,103)	184,517
სასაქონლო მატერიალური			
ფასეულობები	4,260,802	(3,930,474)	330,328
საგადასახადო აქტივები	134,679	(172,452)	(37,773)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,971,967	(35,971)	11,935,996
ფული და ფულის ექვივალენტები	2,488,526	15,288	2,503,814
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	5,872,078	(4,301,500)	1,570,578
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	18,470	(11)	18,459
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	105,708	220,623	326,331

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2019	193,651	206,252	1,923,186	60,819	246,115	2,630,023
შემოსვლა	-	569,789	43,710	47,918	-	661,417
გასვლა	-	-	(173,734)	-	(63,253)	(236,987)
31 დეკემბერი 2019	193,651	776,041	1,793,162	108,737	182,862	3,054,453
გასვლა	-	122,489	424	22,978	-	145,891
გასვლა	-	-	-	(8,833)	-	(8,833)
31 დეკემბერი 2020	193,651	898,530	1,793,586	122,882	182,862	3,191,511
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2019	-	(13,944)	(605,532)	(26,118)	(40,928)	(686,522)
ცვეთის ხარჯი	-	(23,397)	(186,117)	(15,753)	(26,366)	(251,633)
აკ. ცვეთის ელიმინირება	-	-	60,053	-	17,888	77,941
31 დეკემბერი 2019	-	(37,341)	(731,596)	(41,871)	(49,406)	(860,214)
ცვეთის ხარჯი	-	(29,435)	(146,933)	(20,123)	(22,498)	(218,989)
აკ. ცვეთის ელიმინირება	-	-	-	6,705	-	6,705
31 დეკემბერი 2020	-	(66,776)	(878,529)	(55,289)	(71,904)	(1,072,498)
საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2019	193,651	192,308	1,317,654	34,701	205,187	1,943,501
31 დეკემბერი 2019	193,651	738,700	1,061,566	66,866	133,456	2,194,239
31 დეკემბერი 2020	193,651	831,754	915,057	67,593	110,958	2,119,013

6. გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები

გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს ფერა კემტ ფარსიან გრუპისაგან მისაღებ თანხებს, რომლების წარმოშობილია საქონლის მიწოდების შედეგად გადავადებული გადახდის პირობით და ითვალისწინებს 2,5 %-იან საპროცენტო სარგებელს. საპროცენტო შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა 375,846 ლარი (2019 წელს: 331,294)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფინანსური მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები	14,630,813	11,635,033	11,935,996
სულ ფინანსური მოთხოვნები	14,630,813	11,635,033	11,935,996
არაფინანსური მოთხოვნები			
გაცემული ავანსები	279,467	46,029	184,517
სულ არაფინანსური მოთხოვნები	279,467	46,029	184,517
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,910,280	11,681,062	12,120,513

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სათბურის კონსტრუქცია	44,119	105,305	55,651
სოფლის მეურნეობის ნაწარმი	279,616	275,283	105,632
დამტვირთავი ტექნიკა	129,287	129,287	129,287
სხვა	156,414	67,538	39,758
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	609,436	577,413	330,328

მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გასაყიდ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

9. გადასახადები

გადასახდელი გადასახადები - წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 8,911 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი შეადგენს 45,520 ლარს, ხოლო 2019 წლის 1 იანვარს ვალდებულება წარმოდგენილია 37,773 ლარის ოდენობით.

მოგების გადასახადთან დაკავშირებით - სააღრიცხვო პოლიტიკა დეტალურად მოცემულია მე-2 შენიშვნაში, სადაც აღწერილია თუ როგორ ხდება მოგების გადასახადით დაბეგვრა დივიდენდების განაწილებისას, ასევე თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს ჩაითვალონ წინა პერიოდებში გადახდილი მოგების გადასახადები.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,979,683	2,176,006	2,010,002
ფული საღარიშში	156,294	420,554	426,634
ფული საღარიშში უცხოურ ვალუტაში	80,466	51,352	-
ფული ბანკში ლარში	62,948	93,446	67,178
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	3,279,391	2,741,358	2,503,814

11. შემოსავალი

ჯგუფი შემოსავალს გამოიმუშავებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის, სოფლის მეურნეობის ტექნიკის, სასათბურე კონსტრუქციების რეალიზაციით და ამონაგები 2020 წელს შეადგენს 11,739,219 ლარს (2019: 6,898,042 ლარი). შემოსავალს ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს დუბაი-კიგალის პროექტის და ფერა კემტ ფარსიან გრუპ (FKP) - თან განხორციელებული ოპერაციების ფარგლებში.

12. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯი

	2020	2019
სათბურის კონსტრუქცია	4,324,523	3,366,650
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	1,154,077	1,383,067
სხვა	-	3,922
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯი	5,478,600	4,753,639

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
საკონსულტაციო მომსახურება	253,820	330,407
იჯარის ხარჯები	28,249	185,600
მივლინების ხარჯები	17,894	77,011
ბანკის საკომისიო	12,118	10,048
კომუნიკაციის ხარჯები	10,892	15,218
საგადასახადო ხარჯები	5,444	13,938
ტრანსპორტირებისა და მოვლის ხარჯები	4,208	9,350
მარკეტინგის ხარჯები	297	1,979
სხვა ხარჯები	49,580	55,867
სხვა საოპერაციო ხარჯები	382,502	699,418

14. გაცემული სესხი

			31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
	ვალუტა	განაკვეთი			
ფერა კემტ ფარსიან გრუპ FKP	EUR	15%	241,398	192,570	-
შპს ნეიჩერფარმი	GEL	15%	711,122	692,700	600,000
მისაღები პროცენტები			285,104	108,839	-
სულ გაცემული სესხი			1,237,624	994,109	600,000

	2020	2019
საწყისი ნაშთი	994,109	600,000
სესხის გაცემა	18,422	278,706
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	172,698	108,839
საკურსო სხვაობა	52,395	6,564
საბოლოო ნაშთი	1,237,624	994,109

გაცემული სესხი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი. ანგარიშების თარიღისათვის ის მოიცავს სესხის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.

15. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

ჯგუფს შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

14. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფის საფრთხე რისკის მიმართ უპირველსად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს

ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

31 დეკემბერი 2020	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	219,242	40,298	3,019,851	3,279,391
სავაჭრო მოთხოვნები	111,219	-	14,519,594	14,630,813
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	-	-	22,483,689	22,483,689
გაცემული სესხი	965,997	-	271,627	1,237,624
სულ ფინანსური აქტივები	330,461	40,298	17,539,445	17,910,204
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	110,866	-	-	110,866
სულ ფინანსური ვალდებულებები	110,866	-	-	110,866
წმინდა პოზიცია	219,595	40,298	17,539,445	17,799,338
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	4,030	1,753,945	1,757,975
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	(4,030)	(1,753,945)	(1,757,975)
31 დეკემბერი 2019	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	514,000	35,269	2,192,089	2,741,358
სავაჭრო მოთხოვნები	164,721	-	11,470,312	11,635,033
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	-	-	13,207,560	13,207,560
გაცემული სესხი	801,539	-	192,570	994,109
სულ ფინანსური აქტივები	678,721	35,269	13,662,401	14,376,391
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	129,819	-	-	129,819
სულ ფინანსური ვალდებულებები	129,819	-	-	129,819
წმინდა პოზიცია	548,902	35,269	13,662,401	14,246,572
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	3,527	1,366,240	1,369,767
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	(3,527)	(1,366,240)	(1,369,767)
1 იანვარი 2019	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	493,812	47,826	1,962,176	2,503,814
სავაჭრო მოთხოვნები	94,635	-	11,841,361	11,935,996
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	-	-	12,261,140	12,261,140
გაცემული სესხი	600,000	-	-	600,000
სულ ფინანსური აქტივები	588,447	47,826	13,803,537	14,439,810
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	326,331	-	-	326,331
სულ ფინანსური ვალდებულებები	326,331	-	-	326,331
წმინდა პოზიცია	262,116	47,826	13,803,537	14,113,479
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	4,783	1,380,354	1,385,137
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	(4,783)	(1,380,354)	(1,385,137)

14. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2020	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,279,391	-	-	3,279,391
სავაჭრო მოთხოვნები	14,630,813	22,483,689	-	37,114,502
გაცემული სესხი	-	1,237,624	-	1,237,624
სულ ფინანსური აქტივები	17,910,204	23,721,313	-	41,631,517
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	110,866	-	-	110,866
სულ ფინანსური ვალდებულებები	110,866	-	-	110,866
სხვაობა	17,799,338	23,721,313	-	41,520,651
31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,279,391	-	-	3,279,391
სავაჭრო მოთხოვნები	11,635,033	13,207,560	-	24,842,593
გაცემული სესხი	-	994,109	-	994,109
სულ ფინანსური აქტივები	14,914,424	14,201,669	-	29,116,093
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(90,804)	-	-	(90,804)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(90,804)	-	-	(90,804)
სხვაობა	15,005,228	14,201,669	-	29,206,897
1 იანვარი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,503,814	-	-	2,503,814
სავაჭრო მოთხოვნები	11,935,996	12,261,140	-	24,197,136
გაცემული სესხი	-	600,000	-	600,000
სულ ფინანსური აქტივები	14,439,810	12,261,140	-	26,700,950
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	326,331	-	-	326,331
სულ ფინანსური ვალდებულებები	326,331	-	-	326,331
სხვაობა	14,113,479	12,261,140	-	26,374,619

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;

		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
დაკავშირებული მხარე	ურთიერთობა			
სავაჭრო მოთხოვნა ფერა კემტ ფარსიან გრუპ FKP გრუპი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	14,430,328	11,382,268	7,474,473
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნა ფერა კემტ ფარსიან გრუპ FKP გრუპი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	22,482,467	13,206,338	12,259,918
სასესხო მოთხოვნა ფერა კემტ ფარსიან გრუპ FKP გრუპი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	293,633	211,009	-
შპს ნეიჩერ ფარმი	სხვა დაკავშირებული მხარე	943,991	783,100	600,000

სრული შემოსავლების ანგარიშგებაში;

		2020	2019
დაკავშირებული მხარე	ურთიერთობა		
შემოსავალი რეალიზაციიდან ფერა კემტ ფარსიან გრუპ FKP გრუპი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	4,643,200	3,907,796
საპროცენტო შემოსავალი ფერა კემტ ფარსიან გრუპ FKP გრუპი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	406,105	347,260
შპს ნეიჩერ ფარმი	სხვა დაკავშირებული მხარე	142,462	90,400

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებამ 2020 და 2019 წლებში შეადგინა შესაბამისად 159,432 და 149,937 ლარი.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 აპრილს.